პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

☐ სამშაბათი 5 სექტემბერი 1978 წ. ☐ № 208 (17252) ☐ ფასი 2 კაპ.

„სოიუზ-31“ კოსმოსური ხომალდის საერთაშორისო ეკიპაჟი — ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ვ. თ. ბიკოვსკი (მარჯვნივ) და კოსმონავტი მკვლევარი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე ზიგმუნდ იენი დაშვების შემდეგ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ჩვენი ქვეყნის მტკნარ წყალსატევებში მეთევზეობის შემდგომი განვითარებისა და თევზჭერის გაძიდვების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ძვირფას სახეობათა თევზების დაცვისა და მოშენების, სამრეწველო მეთევზეობის რეგულირებისა და გაჭუჭყიანებისაგან წყალსატევების დაცვის მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ბოლო წლების მანძილზე რამდენადმე გაიზარდა თევზჭერა ტბებში, მდინარეებსა და წყალსაცავებში. იზრდება სპეციალიზებული სასაქონლო გუბურისა და ტბის თევზსაშენ საწარმოთა სიმძლავრეები. სასაქონლო თევზის წარმოება ამ საწარმოებში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე 3-ჯერ და მეტად გაიზარდა.

მაგრამ ადგილობრივ წყალსატევებში თევზჭერის მოცულობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს. სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები საკმაოდ ვერ უზრუნველყოფენ მტკნარი წყალსატევების — ტბების, მდინარეების, წყალსაცავების, გუბურების, სამელიორაციო სისტემებისა და თბოელექტროსადგურების საცივარი აუზების დიდი რეზერვების გამოყენებას იმისათვის, რომ თევზის პროდუქციით შეავსონ ქვეყნის სასურსათო რესურსები.

თევზსაშენ საწარმოთა მშენებლობა-განახლებაში მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა, დაბალია სამუშაოთა ხარისხი, საექსპლოატაციოდ გადაცემისას ობიექტები ხშირად დაუთავრებელია.

სასაქონლო თევზის ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ათვისება ნელა მიმდინარეობს, ზოგიერთი გუბურა და სხვა თევზსაშენი ნაგებობანი კი დაბალი ტექნიკური მომსახურების გამო მალე გაფუჭდებიან ხდება.

ცოტა მზადდება საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის სამუშაოებანი, ნელა მაღლდება მეთევზეობაში შრომის მექანიზაციის დონე. სუსტად წარმოებს საჭირო რაოდენობით მაღალხარისხოვანი თევზსაშენი მასალის გამოყენების სამუშაოები.

გრანულირებული კომბინირებული საკვების რაოდენობა და ხარისხი ვერ აკმაყოფილებს მეთევზეობის მოთხოვნილებებს.

თევზის მარაგის დაცვა ცალკეულ რაიონებში არადამაკმაყოფილებელია, არის ბრაკონიერობის შემთხვევები, იღუპება თევზი წყალსაღებებში და წყალსატევებში გაუწმენდავი ჩადენი წყლების ჩაშვების შედეგად.

ჩვენი ქვეყნის მტკნარ წყალსატევებში მეთევზეობის შემდგომი განვითარებისა და თევზჭერის გადიდების მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს 1985 წლისათვის 1977 წელთან შედარებით მტკნარ წყალსატევებში თევზჭერა 2-ჯერ გაადიდონ და საერთო თევზჭერა 924 ათას ტონამდე გაზარდონ, აქედან გუბურებსა და ტბის მეურნეობებში გამოზრდილი თევზისა — 504 ათას ტონამდე. გაადიდონ გუბურების თევზის პროდუქტიულობა საშუალოდ 1,8-ჯერ, სოლო მოქმედი სასაქონლო ტბის საწარმოებისა 2-ჯერ.

ამ ამოცანების შესასრულებლად გათვალისწინებულია ტექნიკურად განახლდეს ყველა გუბურის საწარმო, აშენდეს და გარდაიქმნას 150 ათასი ჰექტარი საგუბურე ფართობი, საექსპლოატაციოდ გადაეცეს 600 ათასი ჰექტარი ტბის მეურნეობა. მეთევზეობა-მელიორაციის სამუშაოთა განხორციელების გზით მნიშვნელოვნად გაიზარდოს თევზჭერა ლადოგის, ჩუდის, ონეგის, ილმენის, სევანის, ჩანის, უბინსკოეს, ბაიკალის, ბალხაშის, ხანკის, ხარტლანის ტბებში.

დასახულია გაუმჯობესდეს თევზსაშენ საწარმოთა უზრუნველყოფა გრანულირებული კომბინირებული საკვებითა და საკმაო რაოდენობით დამზადდეს სასტარტო საკვები თევზის ლიფსიტებისათვის.

დადგენილება ითვალისწინებს გაძლიერდეს მეცნიერული კვლევა მეთევზეობისა და თევზჭერის დარგში, 1979-1982 წლებში შეიმუშავდეს ქვეყნის შიდა წყალსატევების თევზის მარაგის რაციონალური გამოყენების მეცნიერული საფუძვლები, განხორციელდეს ჩრდილო-დასავლეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის დიდი ტბებისა და წყალსაცავების თევზის პროდუქტიულობის გადიდების, სამრეწველო მეთევზეობის ინტენსიფიკაციის ღონისძიებანი. გათვალისწინებულია შეიქმნას საბჭოთა კავშირის ირიგაციული მეთევზეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც შეიმუშავებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეთევზეობის დარგის განვითარების შესაბამის რეკომენდაციებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თევზის წარმოების, მდინარეებში, ტბებსა და წყალსაცავებში თევზჭერის დროს მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, დასახეს, რომ გადიდდეს მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვება მეთევზეობისათვის, მოეწყოს თევზის მთელწლიური გამოზრდის დასაბამები, მანქანებისა და ხაზების სერიული წარმოება.

დადგენილება ავალებს მათ განახორციელონ ბუნებრივი გარემოს დაცვის, წყლიანობის გადიდების, პატარა მდინარეებისა და სხვა წყალსატევების წყლებისა და ბიოლოგიური რესურსების დაცვის, აგრეთვე კაშხალების მშენებლობისა და ამ დროს შექმნილ წყალსაცავებში თევზის გაშვების ღონისძიებათა კომპლექსი.

გათვალისწინებულია პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაფართოების გზით შიდა წყალსატევების თევზის მეურნეობის საწარმოებისათვის მუშების მომზადების, აგრეთვე წარმოებაში მათი შენარჩუნების ღონისძიებანი.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში დაწესდეს საპატიო წოდება „რესპუბლიკის დამსახურებული მეთევზე“. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს დაევალათ გაადიდონ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი მომთხოვნელობა ადგილობრივი წყალსატევების უკეთ გამოყენებისათვის, თევზის მოშენებისა და თევზჭერის სეგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის, გუბურისა და ტბის მეურნეობათა სიმძლავრეების სრული ათვისებისათვის, მათი მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისათვის, აამაღლონ საწარმოებში, მეურნეობებში, ბრიგადებსა და რგოლებში თევზის პროდუქტიულობის გადიდებისა და ადგილობრივ წყალსატევებში თევზჭერის გაზრდისათვის სოციალისტური შეჯიბრების გასაღლესად ორგანიზატორული მუშაობის დონე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ თევზის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშები, მებადურები, მეთევზეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა აამაღლონ სასაქონლო მეთევზეობის ეფექტიანობა, გაადიდონ მტკნარ წყალსატევებში თევზის პროდუქტიულობა და თევზჭერა და ამით მეტი თევზის პროდუქცია მისცენ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას.



კოსმონავტები გიკოვსკი და იენი დედამიწაზე დაბრუნდნენ

საკდესის ცნობა

წარმატებით დამთავრდა „ინტერკოსმოსის“ პროგრამით გათვალისწინებული ახალი საერთაშორისო კილოტირებული ფრენა

1978 წლის 3 სექტემბერს დედამიწაზე დაბრუნდა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ვალერი ბიკოვსკისა და მკვლევარი კოსმონავტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქის ზიგმუნდ იენის საერთაშორისო ეკიპაჟი, რომელმაც წარმატებით შეასრულა ერთობლივ სამუშაოთა პროგრამა „სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ — „სოიუზ-31“ ორბიტულ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში. კოსმონავტები ამ ხანაგები კოვალიონოკი და ივანჩენკოვი განაგრძობენ მუშაობას ორბიტულ კომპლექსში.

„სოიუზ-29“ კოსმოსური ხომალდის დაშვები აპარატი რბილად დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში — ქალაქ ჯეზყაზგანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 140 კილომეტრზე. ამხანაგები ბიკოვსკი და იენი დაშვების შემდეგ თავს კარგად გრძნობენ.

„სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ — „სოიუზ-31“ ორბიტულ კომპლექსში საერთაშორისო ეკიპაჟის ერთობლივი მუშაობის დროს სრული მოცულობით შესრულდა გათვალისწინებული სამეცნიერო-ტექნიკური და სამეცნიერო-ბიოლოგიური ექსპერიმენტები, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერ-სპეციალისტებმა მოამზადეს. კერძოდ, კოსმონავტები კოვალიონოკი, ივანჩენკოვი, ბიკოვსკი და იენი აწყობდნენ დედამიწის ზედაპირისა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის ცალკეული რაიონების ფოტოგრაფირებას ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს შესწავლის მიზნით.

კოსმოსური ფრენის პირობებში შესრულდა ტექნოლოგიური ექსპერიმენტები, რათა შეეხსწავლათ უწონობის გავლენა ახალი ლითონური და არალითონური მასალების შექმნაზე. მიღებულია ახალი მონაცემები დედამიწის ატმოსფეროში ფიზიკური პროცესების მიმდინარეობის ხასიათის შესახებ. განხორციელდა მთელი რიგი სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევები ადამიანის ორგანიზმსა და ბიოლოგიური ობიექტების განვითარებაზე კოსმოსური ფრენის ფაქტორების გავლენის შემდგომი შესწავლის მიზნით.

„სალუტ-6“ სამეცნიერო სადგურში, რომელიც უკვე დაახლოებით ერთი წელია განაგრძობს ორბიტულ ფრენას, „ინტერკოსმოსის“ ერთიანი პროგრამის შესაბამისად წარმატებით მუშაობდა სამი საერთაშორისო ეკიპაჟი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, პოლონეთის ხალხთა რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოსმონავტთა მონაწილეობით.

„სოიუზ“ კოსმოსური ხომალდებითა და „სალუტ-6“ სამეცნიერო სადგურით საბჭოთა და საერთაშორისო ეკიპაჟების ფრენამ ცხადყო საბჭოთა კოსმოსური ტექნიკის საუკეთესო თვისებები.

საბჭოთა კავშირში მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მუშათა გარჯით შექმნილმა თანამედროვე კოსმოსურმა ხომალდებმა და ორბიტულმა სადგურებმა, გაშვებისა და ფრენის მართვის უზრუნველყოფის დედამიწისეულმა საშუალებებმა, აგრეთვე წვლილმა, რომელიც მომმე სოციალისტურმა ქვეყნებმა შეიტანეს სამეცნიერო და მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტების და კვლევითი სამუშაოების შემუშავება-მომზადებაში, უზრუნველყვეს კოსმოსური ხივრცის მშვიდობიანი მიზნით შესწავლისა და ათვისების იმ პროგრამის განუხრელი და გეგმაზომიერი შესრულება, რომელსაც სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები ახორციელებენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინს

ძვირფასო ამხანაგებო!

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, მინისტრთა საბჭოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი ხალხის სახელით თქვენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას და საბჭოთა ხალხს ძმურად მოგესალმებით და სულით და გულით გილოცავთ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთობლივი პილოტირებული კოსმოსური ექსპერიმენტის წარმატებით დამთავრებას.

ჩვენი ქვეყნის მოქალაქენი აღფრთოვანებით და სიამაყის გრძნობით ადევნებდნენ თვალს ერთობლივი ეკიპაჟის ფრენას და „სალუტ-6“ „სოიუზ-29“-„სოიუზ-31“ ორბიტული კომპლექსის მუშაობას, რომელშიც თავის საბჭოთა ამხანაგებთან ერთად იყო კოსმოსში პირველი გერმანელი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოსმონავტი. ამოცანის ბრწყინვალე შესრულებამ და კოსმონავტთა მშვიდობით დაბრუნებამ რესპუბლიკაში ყველგან დიდი სიხარული გამოიწვია.

საბჭოთა კავშირმა, რომელსაც მოწინავე როლი ეკუთვნის მშვიდობის ინტერესებისათვის და კაცობრიობის საკეთილდღეოდ კოსმოსური სივრცის ათვისების საქმეში, მომმე სოციალისტურ ქვეყნებს, მათ შორის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, შესაძლებლობა მისცეს მონაწილეობა მიეღოთ ამ დიდი და კეთილშობილური ამოცანის განხორციელებაში. კოსმოსური ფრენის საბჭოთა პროგრამის წარმატებით განხორციელება და „ინტერკოსმოსის“ პროგრამის შესაბამისად კოსმოსური სივრცის კვლევაში სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა მონაწილეობა საქვეყნიდ მოწმობს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უდიდეს, მაღალგანვითარებულ ეკონომიკურ და მეცნიერულ პოტენციალსა და მომმე სოციალისტური სახელმწიფოების ძალას. ისინი კვლავ ბრწყინვალედ ცხადყოფენ, თუ რა უდიდესი შესაძლებლობანი აქვს ძმურ თანამშრომლობას სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

სსრ კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეს ერთობლივი პილოტირებული კოსმოსური ექსპერიმენტი განხორციელდა პირველი სოციალისტური გერმანული სახელმწიფოს არსებობის 30-ე წლისთავის წინ. იგი თვალსაჩინოდ მოწმობს სოციალიზმის ძალას და ჩვენი პარტიების, სახელმწიფოებისა და ხალხების ურღვევ კავშირს. ეს ისტორიული მოვლენა გამოხატავს იმ ახალ შესაძლებლობებს, რომლებსაც ჩვენს თანამშრომლობას ანიჭებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1975 წლის 7 ოქტომბრის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება.

სულით და გულით გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, თქვენ, ძვირფასო ალექსი ნიკოლოზის ძევ, ყველა კოსმონავტს, მეცნიერს, ინჟინერსა და მუშას, რომლებიც ამ კოსმოსური ფრენის განხორციელებაში მონაწილეობდნენ, მთელ საბჭოთა ხალხს, ახალ წარმატებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის შრომაში, მშვიდობისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური სალამით

ერიხ ჰონეკერი,
გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე.

ვილი შტოფი,
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

რუსი ხალხის გენია

ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო თბილისში

ბევრ საუკუნეები, მაგრამ ტოლსტოის შემოქმედება, რომელიც დროებამზე მაღლა დგას, გაოცებას მომფენელ თაობებს თავისი სიღრმითა და სიბრძნით, ფრთის შესასხმას მათ ნათელი იდეალებისათვის ბრძოლაში — ჯაჭა-ფშაველს ეს აზრი გასდა ლეიტმოტივი საზეიმო საღამოსი, რომელიც თბილისში გაიმართა დიდი რუსი მამულიშვილის ლევ ტოლსტოის დაბადების 150-ე წლისთავის აღსანიშნავად.

საქართველოსთვის განსაკუთრებით ძვირფასია ტოლსტოი, რომელსაც არაერთგზის უთქვამს, „მიზიდავს საქართველო, გული სულ იქით მიმიწევსო“.

საზეიმო საღამოს მონაწილენი, რომლებიც 4 სექტემბერს შეიკრიბნენ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მომსწრენი გახდნენ შესანიშნავი ლიტერატურული დღესასწაულისა, რომელმაც ცხადყო, თუ როგორ ხდება ერთი ხალხის კულტურული საუნჯე მსოფლიოს უველა ხალხთა კუთვნილება.

— ლევ ტოლსტოის შემოქმედება, — თქვა საღამოს გახსნისას რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გრიგოლ აბაშიძემ, — არის ის დიდი სულიერი მეძკვიდრეობა, რომელიც ეგრერიგად ამშვენებს რუსი ხალხის განუფიორებელ წვლილს საკაცობრიო კულტურის საგანძურში.

ცნობილია პოლიანელი ბრძენკაცის შემოქმედება სამართლიანად არის აღიარებული მხატვრული აზროვნების განვითარების ახალ ეტაპად. მან რუსული და მსოფლიო ლიტერატურა გამდიდრა ისეთი შედევრებით, როგორიც არის „ომი და მშვიდობა“, „ანა კარენინა“, „აღდგომა“ და სხვები — მშობელი ერის ბედ-იღბლის ამსახველი ენციკლოპედიური ტილოები.

დიდი ლენინი სიამაყით გამოთქვამდა აღტაცებას „რუსეთის რევოლუციის ხარკის“ ლევ ტოლსტოის პიროვნებისა და შემოქმედების გამო, რომლის ნაწარმოებებში უბრწყინვალესი ასახვა პოვა საკითხებმა, ყოველ დროში რომ აღელვებდნენ კაცობრიობას.

მწერლისადმი მიძღვნილი სტატიების ციკლში მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი აღნიშნავდა, რომ ტოლსტოიმ „...შეძლო ამაღლებულიყო ისეთ მხატვრულ ძლიერებამდე, რომ მისმა ნაწარმოებებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავეს მსოფლიოს მხატვრულ ლიტერატურაში“.

გ. აბაშიძემ ალაპარაკა იმ დიდ გავლენაზე, რომელიც ლევ ტოლსტოიმ მოახდინა ქართულ ლიტერატურაზე. ილია, აკაკი, ვაჟა — ყოველი მათგანი რაცხდა დიდ მწერალს მშობელი ხალხის ნაწილ მსოფლიოს უველა ხალხთა კეთილ.

ეს ასევე ეხება ბოლოდროინდელ ლიტერატურულ საიუბილეო ღონისძიებებს.

იქ, სადაც საქმეს სჭირდება

პარტიული ჯგუფი—მეჩარჯოლი ორგანიზატორი

ზოგს შეიძლება წუწუნიც კი დაეწყოთ: საამქროში ბევრი ძალები არ გვყოფნის, რაღა ჩვენ მოგვადგანენ. ეფტია სხვაგან კარგი ოსტატი?

არადა, ბრიგადისათვის ბორის ხაბეიშვილის ჩამოყალიბება პირდაპირ პარკჯიონის მოკავშირეთა ფიქრი. ბორისი ამბობდა ეს თავისი საქმის დიდოსტატია. შიბამი სამსხვილო ხაამქროს ავმწყრნდა ოცნის ბრიგადა. ჩამოწესებულია თვით ოცნის პარკჯიონორგანიზატორი რომან შინაძე ხელმძღვანელობს. ძალიან დასუსტებას ვერ შეორგდებოდა. ეფტია არ იყიდა. შიბამია ეს მოხდება, შეიძლება ფალფიბლობა ვიყოს ვაანალიზო... ფალფიბლობა ეს ობრადო ჩოფია. სამი წლის გეგმა ორწელიწადან-ნახევარში უნდა შესრულდეს.

—! ეარა, ბორისი სამეფდოო ხაამქროში ონდა ადამიანის. ამას საქმის ინტერესი მოითხოვს.— მტკიცედ განაცხადა პარკჯიონორგანიზატორმა და მას კომუნისტებიც ერთხმად დაეთანხმნენ.

ეს მაგალითი, რომელიც პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრების დაწყებამდე შეკეთდა, გამონაკლისი ოოფია. პარტიული ჯგუფის კრების მსჯელობამ ნათლად დაანახვა, თუ რა ანაბალად ფიქრობს და რა მაღალი შეგნებით მოპყრობს კომუნისტია ეს 14-კაციანი კოლექტივი, რომელის თითოეულ წევრს პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება საერთო საქმის ნაწილად მიაჩნია.

ამ ბოლო დროს ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში „ჩვენი" და „შენი" საქმე არ არსებობს. ეფექრობთ, ავტომშენებელთა წარმატების თეძტორი. სხვა ბევრ სასიკეთო ცვლილებებთან ერთად, ესეც არის. რა დასამალია, ფიწროფუნებრივ ინტერესებს ერთ ხანს აქაც მძლავრად პქონდა ფესვი გადგმული.

ბორის ხაბეიშვილი საამქროში მართველად გადადგეა, მაგრამ ბრიგადა გადარეკეტილი ენერგიით შეიდგა ფალიფიბლობის მოვალეობის შესრულებას. საქმე არ გაფუჭებოდა, პირიქით...

ბოლო ახლახან საამქროში ავანგარი ეარა — ბორის ფონის სხმოლობის დამოშვების ბრიგადა ჩამოაჩა შეჯიბრებაში, ბოლო საფინალურ ტაფაზე დანდგარზე სხმოლის აამწყობინი ეიეი ეკმბრიგადა შეიბრძოლებაში წაიეა და შემეკეთა ვერ მოვინახოთ. კომუნისტებმა საბეჭდავი ბანერი ეკიდა ბრიგადა. ბორისი ოთხი ოფნის პარკჯიონორგანიზატორი რომან შინაძე ხელმძღვანელობს. ძალიან დასუსტებას ვერ შეორგდებოდა. ეფტია არ იყიდა. შიბამია ეს მოხდება, შეიძლება ფალფიბლობა ვიყოს ვაანალიზო... ფალფიბლობა ეს ობრადო ჩოფია. სამი წლის გეგმა ორწელიწადან-ნახევარში უნდა შესრულდეს.

—! ეარა, ბორისი სამეფდოო ხაამქროში ონდა ადამიანის. ამას საქმის ინტერესი მოითხოვს.— მტკიცედ განაცხადა პარკჯიონორგანიზატორმა და მას კომუნისტებიც ერთხმად დაეთანხმნენ.

ეს მაგალითი, რომელიც პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრების დაწყებამდე შეკეთდა, გამონაკლისი ოოფია. პარტიული ჯგუფის კრების მსჯელობამ ნათლად დაანახვა, თუ რა ანაბალად ფიქრობს და რა მაღალი შეგნებით მოპყრობს კომუნისტია ეს 14-კაციანი კოლექტივი, რომელის თითოეულ წევრს პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება საერთო საქმის ნაწილად მიაჩნია.

ამ ბოლო დროს ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში „ჩვენი" და „შენი" საქმე არ არსებობს. ეფექრობთ, ავტომშენებელთა წარმატების თეძტორი. სხვა ბევრ სასიკეთო ცვლილებებთან ერთად, ესეც არის. რა დასამალია, ფიწროფუნებრივ ინტერესებს ერთ

ფართო გზა—ჩელიაბინსკის ოლქის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოების კოლექტივებს გამოცდილებას!

რკინიგზის ტრანსპორტის პრობლემები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება **სამრეწველო და რკინიგზის საწარმოებში სატვირთო ოპერაციების დროს ვაგონების მოცდენის შემცირებისა და მათი დაცვის უზრუნველსაყოფად სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის ორგანიზატორული მუშაობის შესახებ"** მკაფიოდ მაგალითია იმისა, თუ როგორ ზრუნავს პარტია სახალხო მეურნეობის სასიცოცხლო არტერიის შემდგომი განვითარებისათვის, მისი ხელმძღვანელობის ოპერატიულობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩელიაბინსკელთა გამოცდილების შესასწავლად შექმნა სპეციალური ჯგუფი და მიაგზავნა იგი სამხრეთ ურალის რკინიგზის, სამრეწველო საწარმოთა მუშაობის. მათი საქმიანობის პროგრესული მეთოდების გასაცნობად ჩვენს რესპუბლიკაში მათი დანერგვის მიზნით.

ურალელი რკინიგზელების და სამრეწველო საწარმოების შეთანხმებული, ოპერატიული მუშაობა მართლაც სანიმუშოა. აქ ბევრი რამ საგულისხმო ვნახეთ, რომელთა წარმოებაში დანერგვა დიდ სარგებლობას მოგვიტანს.

მოკლედ მათი მუშაობის მეთოდების შესახებ. პარტიის ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტმა განსაკუთრებული უყურადღება მიაპყრო ოლქის სამრეწველო საწარმოთა

საიმედო დასაწყისი

რკინიგზის ტრანსპორტის პრობლემები

გაზრდილ მოთხოვნილებას სარკინიგზო ტვირთბიდვაზე, დაიწყო ძიება რეზერვების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოთ სატრანსპორტო სამუშაოებთა მაქსიმალური გამოყენება.

სამხრეთ ურალის რკინიგზაზე დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების 89 პროცენტი უშუალოდ სამრეწველო საწარმოთა მისასვლელ გზებზე წარმოებს. ამიტომ საჭირო გახდა უმთავრესად ამოცანად დაესახათ სატვირთო ოპერაციების დაჩქარების გზით ვაგონების მოცდენის დროის შემცირება.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 1974 წელს „პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის" პასუხად ხუთმა მომთხოვნე სამრეწველო საწარმომ — მაგნიტოგორსკის მეტალურგიულმა კომბინატმა, საწარმოო გაერთიანება „ჩელიაბინსკენერგოსაშენი" და ჩელიაბინსკის მეტალურგიულმა, საკალიბრო და ელექტრული ქარხნებმა. სამხრეთ ურალის რკინიგზის სადგურის ტრანსპორტის მუშაკებმა ვამოიჩინეს ინიციატივა — „ზეგეგმითი პროდუქციით დიუბილეთ დაზოგილი მოძრავი შემადგენლობა!". ამ თანამონაბის პრაქტიკული განხორციელებისათვის გაიმართა დარგობრივი საოლქო კონფერენცია, სადაც ეკონომიკური შეჯიბრება ნორმასთან შედარებით ვაგონების მოცდენის 0.2 საათით შემცირებისათვის, რათა უზრუნველყოთ 20 ათასი ვაგონის გამოთავისუფლება.

წამოწყება მოიწონა საოლქო კომიტეტის ბიუროს და რჩევა მისცა პარტიის საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პროფკავშირულ ორგანიზაციებს ყოველგვლენთ იგი საკონგზო და სამრეწველო საწარმოთა მორის. კარგად დაწყებული საქმის შედეგი კარგი მოჰყვა. პირველსავე წელს ვაგონების მოცდენის 0,6 საათით შემცირებამ 7.000 ვაგონი გამოათავისუფლა.

ამ გამარჯვებამ წინ უძღოდა დიდი ორგანიზატორული მუშაობა. რომელსაც პარტიის საოლქო. საქალაქო და რაიონული კომიტეტები ეწეოდნენ სამხრეთ ურალის რკინიგზის მუშაკებთან ერთად. ამ საკითხს მიეძღვნა პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარები, მეცადინეობები საბალხო გამოცდილების სკოლებში.

ინიციატორებმა განსაზღვრეს, სატრანსპორტო საამქროთა თავისი განვითარებით დღეს მეჩარჯეს რომ არ ეყოფეს, არ უნდა ჩამორჩეს ძირითადი წარმოების ტემპებს დონეს. ამიტომ, მუშაობის თავისებურებებისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით თავიანთ ვიგეგმში ყოველწლიურად შეაქვთ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი სატრანსპორტო საამქროების კომპლექსური განვითარების და რეკონსტრუქციისათვის. ყველა დასახული ღონისძიება დროულად და მაღალხარისხოვნად ხორციელდება.

ჩელიაბინსკის მეტალურგიულ ქარხანაში სარკინიგზო და სასაწყობო მეურნეობათა ძირეულ რეკონსტრუქციასთან ერთად განსაკუთრებული უყურადღება ეთმობა როგორც შიდა, ისე გარე სარკინიგზო ტვირთბიდვის ტექნოლოგიის სრულყოფას. შემუშავებული და დანერგილია საკონტაქტო გრაფიკი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს შიდასაქარხნო ვაგონების პარკის და გზათა სამინისტროს სავაგონო პარკის მუშაობას და იჭვემდებარეს ქარხნის ჯირითადი საამქროების უწყვეტი წარმოების ტექნოლოგიურ რიტმს.

საკონტაქტო გრაფიკის შესრულების მაღალ დონეს, ტვირთბიდვის პროცესის რიტმულობას ახორციელებს ოპერატიული ხელმძღვანელობა — რკინიგზის ტრანსპორტის სამმართველოს ცენტს უფროსი, ფრი მატარებლის დისპეტჩერი და სავაგონო დისპეტჩერი.

საოპერაციო ტექნოლოგიური პროცესის ეფექტურობა ეკონომიკური ეფექტიანობა — ეს ორი ფაქტორი ერთმანეთთან ორგანულად ერწყმის ერთმანეთს. ეს ორი ფაქტორი ეფუძნება ინჟინერ-ეკონომისტთა ინიციატივას, ეფექტიანი ეკონომიკური ანგარიშებიდან ამოიღებენ ეფექტიანობის ეფექტიანობას. ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა ... ● 4 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიროვნება და საზოგადოება

ადამიანის პრობლემის ზოგიერთი ასპექტი ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებებში „მცირე მიწა“ და „აღორძინება“

ადამიანის პრობლემამ ამ უკანასკნელ დროს როგორც თავისი მასშტაბით, ისე სტრუქტურითა და დანიშნულებით სერიოზული ცვლილებები განიცადა. იგი გასცილდა თეორიულ სფეროს. ვიწრო ლოკალურ ფარგლებს და გადაიქცა ჩვენი ეპოქის უაღრესად გლობალურ, პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხად, რომლის მონიერულ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ადამიანისა და მთელი კაცობრიობის შემდგომი ბედი. ამიტომ გასაგებია, რომ სკკპ XXIV და XXV ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებში მთავარი ადგილი უკავია ადამიანის პრობლემას: ადამიანის კეთილდღეობის ამაღლების, ახალი ადამიანის აღზრდის, ხალხთა უშიშროებისა და მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფის საკითხებს. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ლ. ი. ბრეჟნევის ცნობილ ნაშრომებს: „მცირე მიწა“ და „აღორძინება“.

იბადება კითხვა: რა პირობებმა განსაზღვრეს თანამედროვე ეპოქაში ადამიანის პრობლემის მასშტაბურობა, გლობალობა, მისი ოპტიმალური გადაწყვეტის აუცილებლობა?

ადამიანის პრობლემის ასეთი აქტუალობა და მისი პრაქტიკულ-პოლიტიკური ხასიათი განაპირობეს არა მარტო მომწიფებული სოციალიზმის ახალმა ამოცანებმა, არამედ მსოფლიოს ხალხთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების სფეროებში მიმდინარე არსებითმა ცვლილებებმა, ამ ცვლილებათა სისტემიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მომენტებია:

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც მემოთბრუნა კაცობრიობის ისტორიული განვითარება ძველი, კაპიტალისტური სამყაროდან ახალი, სოციალისტური სამყაროსაკენ და ამით დასაწყისი მისცა ადამიანის განთავისუფლების ერას, სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრებას ყოფაცხოვრებასა და ტრადიციებში, კულტურასა და იდეოლოგიაში;

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალიზმის გადაქცევა მსოფლიო სისტემად, რომელმაც არსებითად შეიცვალა ჩვენი პლანეტის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური სახე;

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რომელმაც საერთოდ დიდი გარდატეხა შეიტანა წარმოების, ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის განვითარებაში. იმპერიალიზმის ცდა თავის სამსახურში ჩაყენოს ტექნიკური-პროგრესი და ამით ადამიანის ნორმალურ ცხოვრებას დიდი საფრთხე შეუქმნა.

ამ ძირეულმა ცვლილებებმა და ახალმა ამოცანებმა განსაზღვრეს ადამიანის პრობლემის გლობალური ხასიათი, მისი აქტუალობა და პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა. ამ ფონზე განხილება ადამიანის პრობლემა ლ. ი. ბრეჟნევის აღნიშნულ წიგნებშიც. მაგრამ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ადამიანის ქცევა ამ ძირითად ნიშნებს ემყარება. მართალია, იმდენად ბიო-სოციალური, მაგრამ პიროვნებაში წარმმართველ ძალას სოციალური მხარე ფარობდეს. როდესაც ადამიანი თავისი ბიოლოგიური მოთხოვნილებების რეალიზაციას სოციალურად ორგანიზებული გონიერული მოთხოვნილებების კონტროლქვეშ აყენებს, ძაბინ ეგოიზმი და იმდენადიფაილიზმი მასში გადალახულია. ამასთან პიროვნების ქცევის რაციონალური მართვა ინდივიდმა გასაქანს არ აძლევს მავნე ფსიქიკური მოვლენების განვითარებას. ამრიგად, ადამიანის სტრუქტურული ელემენტების დინამიკა და ურთიერთქმედება სოციალური ფაქტორით განსაზღვრება, ასეთ პირობებში ადამიანის ქცევა საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესების ერთიანობის კანონს ემორჩილება. ამ საფუძველზე ეთანადება ახალი ადამიანი, რომელიც თავის ძალას, ენერგიასა და სიცოცხლეს არ ზოგავს და სასწაულებრივ გმირობას იჩენს სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებში: „მცირე მიწა“ და „აღორძინება“ ღრმა დამაჯერებლობით არის მოცემული საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი ამ მაღალი მორალური თვისებების სოციოლოგიური ახსნა.

სოციალისტური ცხოვრების წესი პიროვნებაში, ცალკეულ მუშაში აყალიბებს საზოგადოებრივი საქმის გაჯერების უნარს, შრომითი კოლექტივის წინაშე მდგარი საერთო ამოცანების ღრმა შეგნებას, ისე როგორც ამაა მოითხოვს ცალკეულისა და ზოგადის დიალექტიკური ერთიანობის პრინციპი. „ვრთი სიმრავ, — წერს ამასთან დაკავშირებით. ლ. ი. ბრეჟნევი — როცა ადამიანი თაკისუბანზე ინიჩენება, არ იცის ირგვლივ რა ხდება და სულ სხვაა, როცა ის ყველა საქმის კურსშია, იცის თავისი ადგილი საერთო მწყობრში“.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, როცა ჩვენმა სახელმწიფომ საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო და სრული დემოკრატიზაცია განიცადა, შეიცვალა ადამიანებს შორის დამოკიდებულების ფორმაც. დათრგუნვისა და ძალადობის მეთოდა ჩვენი ქვეყნის შიგნით თავისი დრო უკვე დიდხანია მოქცეა. ახლა ადამიანებთან ურთიერთობაში მთავარ მეთოდს წარმოადგენს ახსნა-განმარტება, დარწმუნება, გულისხმიერება, შთაგონება. ამის თაობაზე ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებში ძვირფასი მითითებებია მოცემული. რომელებიც ყოველთვის უნდა ვხელმძღვანელობდეთ. „კაცი ადეკ რომ ცდებოდეს, — ვკითხულობთ წიგნში „მცირე მიწა“, — არავის არა აქვს უფლება დაპკიცლოს და შეურაცხყოს. ძალზე მძიმეს, კაცი კაცს რომ დაუცინებს, ეს არც ისე გავრცელებული ჩვეულებაა, მაგრამ ზოგი დღემდე ვერ გადაეჩვია ამას“.

მასებთან ახლოს ყოფნა, ადამიანებთან გაუყარელი კავშირის დამყარება, მათდამი გულისხმიერება, ჰუმანიზმი და თავმდაბლობა მუშაობის ლენინური სტილის დამახასიათებელი ნიშნებია. ეს სტილი მთლიანად აითვისა და განვითარა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლ. ი. ბრეჟნევმა.

რა სარგებლობა მოაქვს მუშაობის ასეთ სტილს?

ადამიანებთან ასეთი ურთიერთობა აუცილებელია იმიტომ, რომ იგი ამდიდრებს ხელმძღვანელი მუშაკის გამოცდილებას, განაძტკიცებს მის კავშირს ცხოვრებასთან, ეხმარება, ასე ეთქვათ, პირველი წყაროდან გაიცნოს საქმის ნამდვილი ეითარება, სწორი მიმართულებით წარმართოს ხელმძღვანელობა.

ადამიანებთან მუშაობისათვის საკმარისი არ არის გავიზიაროთ მარქსიზმ-ლენინიზმის ცალკეული დებულებები. უნდა შეგვეძლოს გაეხსნათ ცოცხალი, კონკრეტული ადამიანის სტრუქტურა, მისი ფსიქოლოგიური სამყარო. ეს კი ყველასათვის იოლი მისაწვდომი როდია. საქმე ისაა, რომ არიან სხვადასხვა ხასიათის ადამიანები; მათთან ურთიერთობაში სასურველი შედეგის მისაღწევად წინასწარ დადგენილი რეცეპტები არ არსებობს.. ასეთ ვითარებაში ადამიანებთან მუშაობა დიდ ხელოვნებას, შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს ლ. ი. ბრეჟნევს რიგულ სიტუაციაში შეეძლო გასაოცარი, მომაჯადოებელი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოეხდინა ადამიანებზე და რა ძეუდრეკელი ჯიუტობა და ეგოიზმიც ულია ჰქონოდა მათ, იგი ძალდატანების გარეშე აღწევდა თავისი გზით წაეყვანა ისინი. ამის ილუსტრაციისათვის „აღორძინებიდან“ მოვიყანოთ ორი მაგალითი:

პირველი: დნეპროპეტროვსკის ოლქში, ქარხნის დირექტორები ალოობაზე მანქანების გაგზავნის შესახებ მიცემულ განაწესს წესიერად არ ასრულებდნენ. ლ. ი. ბრეჟნევი სათითაოდ ტელეფონით დაუკავშირდა ქარხნის დირექტორებს და მათთან გულთბილი, საუბრის შემდეგ საქმეც წარმატებით დამთავრდა: წინა წლებთან შედარებით ალოობაზე ორჯერ მეტი ავტომანქანები გაგზავნეს.

მეორე: დნეპროპეტროვსკში, როგორც იგონებს ამხანაგი ბრეჟნევი, ერთბამად ვერ მოგვარდა მისი ურთიერთობა ილია ივანეს ძე კორობოვთან — პეტროვსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორთან, რომელიც საქვეყნოდ იყო განთქმული. კორობოვების ოჯახს იცნობდა ი. ბ. სტალინი. კორობოვი კარგი მუშაკი იყო, მაგრამ იგი ზოგჯერ კარგადვე რეალობის გრძნობას, დიდგულობდა. ლ. ი. ბრეჟნევი მოგვითხრობს იმაზე თუ როგორ შესძლო მან კორობოვზე ზეგავლენის მოხდენა ყურადღებიანი, დინჯი და საქმიანი დამოკიდებულების წყალობით და შემდეგ პარტიის საოლქო კომიტეტში ქარხნის დირექტორების თათბირზე კორობოვმა ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის წამოყენებულ იდეას ქვანახშირის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ასეთი მაგალითი ურჩი და ჭირვეული მუშაკების გამოსწორების შესახებ ბევრი შეგვეძლო მოგვეყანა ლ. ი. ბრეჟნევის მუშაობის გამოცდილებიდან, მაგრამ ჩვენთვის, დღეანდელ პირობებში უდიდეს მნიშვნელობას იძენს ავტორის მიერ მოცემული ზოგადი დასკვნები, მითითებები და რეკომენდაციები.

ამრიგად, განუზომელია ლ. ი. ბრეჟნევის წიგნების „მცირე მიწისა“ და „აღორძინების“ თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. მათში ოპტიმიზმის, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის დაუშრეტელი იდეებია ჩაქსოვილი.

ახლა როდესაც მთელს ჩვენს ქვეყანაში დიდი მუშაობა გაჩაღდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებისათვის, საკითხი დგება სუბიექტური ფაქტორის როლის კიდევ უფრო ფართო მასშტაბით გაძლიერების შესახებ, ამ მხრივ უდიდეს მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას ინარჩუნებენ ადამიანებთან მუშაობის შესახებ მრძნული მითითებები, რომლებიც მოცემულია ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებში „მცირე მიწა“, „აღორძინება“. ამ ნაშრომებს დიდი შთამაგონებელი, ალიური ზემოქმედების ძალა აქვთ, ისინი მძლავრ იმპულსს იძლევიან პარტიის დიდ წინასწარდასახულობათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

დ. კალანდაძე,
პროფესორი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგე.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲕᲚᲐ

ᲓᲔᲚᲘ. (ხაკდესი). დელის გამომცემლობა „ნავ იუგ პაბლიშერზმა“ ფენჯაბის ენაზე გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებების წიგნი „მცირე მიწა“ და „აღორძინება“. მრავალრიცხოვანი ფოტოსურათებით ილუსტრირებულ ამ გამოცემას დიდი ინტერესით შეხვდა ინდოეთის საზოგადოებრიობა.

ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა წიგნის გამოცემა დიდი მნიშვნელობის მოვლენაა ინდოელი ხალხისათვის, წერს წიგნის წინასიტყვაობაში თვალსაჩინო ინდოელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე კ. პ. შ. მენონი. ძირითადი დასკვნა — ქვეყნად არ უნდა იყოს ომი — გამოაქვს ადამიანს, რომელიც დიდი საომარი ომის პირველიდან უკანასკნელ დღემდე მონაწილეობდა ბრძოლებში საომარლოსათვის, ხაზგასმითაა აღნიშნული წინასიტყვაობაში.

ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებები საფუძვლიან წარმოდგენას გვიქმნის საბჭოთა ხელმძღვანელზე, რომელიც წამყვან როლს ასრულებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ქვეყნად მშვიდობის დამყარებისათვის მოძრაობაში. ინდოეთში განსაკუთრებული უურადღებით წაიკითხავენ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებებს, რადგან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს იცნობენ არა მარტო როგორც თანამედროვეობის გამორჩენილ საერთაშორისო ლიდერს, არამედ როგორც ინდოელი ხალხის დიდ და ერთგულ მეგობარს, წერს დასასრულ წინასიტყვაობის ავტორი.

Ბ. ᲠᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲐᲗᲔᲜᲘ. (ხაკდესი). „ძალიან კარგი“ უწოდა საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვეორგიოს რალისმა. როცა პასუხს იძლეოდა საბჭოთა ჟურნალისტების შეკითხვებზე საბჭოთა კავშირში მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარების მიზნით. მინისტრს მიაჩნია, რომ რეალური შესაძლებლობები არსებობს ყველა დარგში თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვის.

მინისტრმა აღნიშნა, რომ საბერძნეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს მჭიდრო ისტორიული ურთიერთობა აქვთ და თქვა, რომ საბერძნეთის მთავრობა კვლავაც განავითარებს ამ ურთიერთობას.

ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲘᲤᲠᲝᲜᲔᲑᲔᲜ

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ. (ხაკდესი). მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოიწვია მდგომარეობა, რომელიც იხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ცედენბალის ყირიმის შეხვედრის შედეგებს.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მადლობა შეუთვალეს ძმურ ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. ცედენბალის ყირიმის შეხვედრის შედეგებს და მიაჩნია, რომ იგი დიდმნიშვნელოვანი წვლილია საბჭოთა და მონღოლი ხალხების ტრადიციული ინტერნაციონალური ძმობის შემდგომი განმტკიცების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი ყოველნაირად დაახლოების საქმეში, მსოფლიო სოციალიზმისა და საერთაშორისო უშიშროების პოზიციების განმტკიცებაში.

დადგენილებაში დიდი კმაყოფილებით არის აღნიშნული, რომ ამ შეხვედრამ კვლავ დაადასტურა ძმაურთა საიმედო ერთიანობა შეხედულებანი ყველა ძირითადი საკითხზე, და ეთანხმა კიდევ ცხადყო, რომ განუხრელად ღრმავდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ძმური მეგობრობა და მჭიდრო, ყოველმხრივი თანამშრომლობა.

ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲖᲠᲐᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒ

